



საქართველოს სსრ.



საგზ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. სექტემბრის 25.

№ 22

ტფილისი.

შ ი ნ ა ბ რ ს ი

შ რ ო მ ა

127. „სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებისა და 1935 წელს ჯანმრთელობისათვის ასიგნების გადიდების თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

შ რ ო მ ა

127. დადგენილება ს. კ. ს.

921.4

„სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებისა და 1935 წელს ჯანმრთელობისათვის ასიგნების გადიდების თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-12 №-ი, მუხ. 92) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული 5.547,0 ათასი მან. განაწილებულ იქნას რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემდეგნაირად:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით:
 862,0 ათასი მან.; აქედან:

- | | |
|---|----------------|
| 1) სახელმწიფო ბიუჯეტით შესანახ სამკურნალო და სხვა დაწესებულებათ | 632,0 ათ. მან. |
| 2) სამედიცინო ინსტიტუტს | 110,0 " " |
| 3) წყალსანიტარულ სამმართველოს | 70,0 " " |
| 4) რეზერვი | 50,0 " " |

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტით:

4.685,0 ათასი მან.; აქედან:

- | | |
|--|--------------|
| 1) აფხაზეთის ასსრ-ს | 350 ათ. მან. |
| 2) აჭარისტანის ასსრ-ს | 200,0 " " |
| 3) სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქს | 85,0 " " |
| 4) ტფილისის საქალაქო საბჭოს | 1900,0 " " |
| 5) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს | 2150,0 " " |

ამ თანხის ცალკეულ რაიონებზე განაწილებით ამასთანავე დართული ცხრილის თანახმად (იხ. დანართი 1).

2. ამორთმეულ იქნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ სააფთიაქო სამმართველოს საკუთარი სახსრიდან 268,0 ათასი მან. და თანხა წარიმართოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით შესანახ დაწესებულებათა სამედიცინო მომუშავეების სამუშაო ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებულ ხარჯებისათვის.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემაველი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს—სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად საჭირო დანაკლი თანხა გამონახონ სათანადო სააფთიაქო სამმართველოების სახსრიდან ამორთმევით და აგრეთვე ჯანმრთელობის ღონისძიებათათვის მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნების შემცირებით.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი დანარჩენი ქალაქების საქალაქო საბჭოებს—განახორციელონ იგივე ღონისძიება ჯანმრთელობისათვის მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნების შემცირებით.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისარიათა საბჭოს 1935 წ. აპრილის 28-ის თარიღისა და 839 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (სსრკ კან კრ. 1935 წ. 28 №-ი, მუხ. 224), დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ (იხ. დანართი 2) და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, მის შედგენილებაში შემაველი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჩართვით.



5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—გადაუხადონ დამტკიცებული ინსტრუქციის სრული შესაბამისობით (მე-4 მუხ.) 1935 წ. ივლისის განმავლობაში ყველა სამედიცინო მომუშავეს სამუშაო ხელფასის ის განსხვავება, რასაც იწვევს მისი გადიდება 1935 წ. მარტის 1-დან.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს აღნიშნული ღონისძიება ბიუჯეტის აღსრულების საკასო გეგმის ფარგლებში 1935 წ. ივლისისათვის.

შენიშვნა. სამედიცინო მომუშავეებისათვის სამუშაო ხელფასის განსხვავების 1935 წ. მარტის 1-დან მიცემის დროს სამუშაო ხელფასი გამოანგარიშებულ იქნას ახალი განაკვეთების მიხედვით სამუშაო საათების ფაქტიური რაოდენობის კვალობაზე.

6. დაევალოს ჯანმრთელობის ორგანოების ხელმძღვანელებს, სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებების დირექტორებს და გამგეებს—სამედიცინო მომუშავეებისათვის ახალი განაკვეთების მიხედვით სამუშაო ხელფასის მიცემის დროს მტკიცეთ დაიცვან დადგენილი ნორმები, შტატები და განაკვეთები და აგრეთვე ინსტრუქციით გათვალისწინებული წესები (მე-4 მუხ.) სამედიცინო მომუშავეებისათვის შეთავსებით მუშაობის ხელფასის მიცემის შესახებ.

გაფრთხილებულ იქნან ჯანმრთელობის ორგანოებისა და სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომ ზემოაღნიშნული წესის დარღვევისათვის ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სასამართლო წესით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—შეამოწმოს ივლისის ბოლოს ამა დადგენილების აღსრულება ინსტრუქციის სისწორით შეფარდების თვალსაზრისით და არა უგვიანეს აგვისტოს 5-ისა მოახსენოს შემოწმების შედეგები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ივლისის 8. № 900.
ტფლისი.

დანართი 1.

ც ხ რ ი ლ ი

სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის გადიდებულ სახსრის განაწილებისა სარაიონო და საქალაქო ბიუჯეტებს შორის 1935 წელს.

1. აბაშის	23.0	3. ამბროლაურის	23.0
2. აღიგენის	13.0	4. ასპინძის	—

№ 27
 1935 წლის
 მარტის 4-ის

5. აღბულახის	31.0	30. სამტრედიის	72.0
6. ახალქალაქის	—	31. სიღნაღის	107.0
7. ახალციხის	3.0	32. ტფილისი (ქალაქი)	—
8. ბაღდადის	25.0	33. ტფილისის (რაიონი)	82.0
9. ბაშკიჩეთის	26.0	34. ტყიბულის	47.0
10. ბოვდანოვკის	3.0	35. ფოთის	48.0
11. ბორჩალოს	24.0	36. ქვემო-სვანეთის	—
12. ბორჯომის	51.0	37. ქუთაისის	300.0
13. გორის	76.0	38. ყაზბეგის	22.0
14. გურჯაანის	61.0	39. ყარაიას	19.0
15. დღუშეთის	35.0	40. ყვარლის	50.0
16. ვანის	28.0	41. ჩოხატაურის	24.0
17. ზემო-სვანეთის	1.0	42. ჩხარის	11.0
18. ზუგდიდის	89.0	43. ჩხოროწყუს	19.0
19. თელავის	79.0	44. ცაგერის	36.0
20. თიანეთის	13.0	45. წალენჯიხის	14.0
21. კასპის	21.0	46. წალკის	10.0
22. ლაგოდეხის	34.0	47. კიათურის	132.0
23. ლანჩხუთის	31.0	48. ხაშურის	41.0
24. ლუქსემბურგის	36.0	49. ხობის	30.0
25. მარტვილის	44.0	50. ხონის	44.0
26. მახარაძის	106.0	51. ხორაგოლის	18.0
27. მ. ცხაკაიას	63.0	52. ჯუღელი	49.0
28. ონის	16.0		
29. საგარეჯოს	20.0		
		სულ	2.150.

დანართი № 2.

ი ნ ს ტ რ უ შ ც ი ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა

„სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხალფასის გადიდების თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის ყველა ორგანოს და ყველა სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, თვითვე თავის ნაწილში, წესიერი განხორციელება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებისა „სამედიცინო მო-

მუშავებთა სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მარტის 4-ის კანონით, და მოქმედებულია სტაჟზე, მუხ. 92).

ამისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ:

1. შემოწმეთ თვითეული სამედიცინო მომუშავეს კვალიფიკაციისა და სტაჟის დოკუმენტები.

1. სამუშაო ხელფასის ახალი განაკვეთი დანიშნულ უნდა იქნას სამედიცინო მომუშავეს კვალიფიკაციის მტკიცე შესაბამისობით და აგრეთვე თანამდის სამედიცინო მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობისა იქ, სადაც განაკვეთის რაოდენობა, 1935 წ. მარტის 4-ის კანონით, დამოკიდებულია სტაჟზე.

2. მომუშავეს კვალიფიკაცია გამოირკვევა მის მიერ მიღებული სამედიცინო განათლების დოკუმენტის მიხედვით.

ასეთ დოკუმენტად ითვლება:

ა) ექიმისათვის — დიპლომი ან მოწმობა სამედიცინო ფაკულტეტის ან სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შესახებ; ეს დიპლომი ან მოწმობა გაცემულ უნდა იქნას უნივერსიტეტის ან სამედიცინო ინსტიტუტის მიერ;

ბ) უმაღლესი განათლების მქონე ფარმაცევტისათვის — პროვიზორის წოდების დიპლომი, ან საფარმაცევტო ინსტიტუტის დიპლომი, ან სამედიცინო ინსტიტუტის საექიმო-საფარმაცევტო ფაკულტეტის დიპლომი; ხოლო ამ ფარმაცევტებთან გათანაბრებული ფარმაცევტისათვის, რომელსაც 15 წლის სტაჟი აქვს — მოწმობა საპროვიზორო კურსების ან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პროგრამით გასასვლელი სრულყოფის კურსების დამთავრების შესახებ;

გ) უმაღლესი განათლების მქონე კბილის ექიმისათვის — დიპლომი ან მოწმობა სამედიცინო ან სტომატოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შესახებ, ან და მოწმობა ექიმ-სტომატოლოგის წოდების შესახებ;

დ) კბილის სამკურნალო სკოლა-დამთავრებული კბილის ექიმისათვის — მოწმობა (დიპლომი) 1930 წლამდე კბილის სამკურნალო სკოლის დამთავრების შესახებ, ხოლო კბილის ექიმებთან გათანაბრებული დანტიისტიისათვის, რომელსაც 10 წლის სტაჟი აქვს — უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მოწმობა დანტიისტიის წოდების შესახებ; იმ კბილის ექიმისათვის, რომელმაც გაათავა ნორმალური საფერშლო სკოლა ან ტექნიკუმის სრული კურსი და სპეციალიზებული კბილის ექიმის სახით წლიურ კურსებზე — ამ სასწავლებლების მოწმობები;

ე) საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის, რომელსაც აქვს სრული საშუალო სამედიცინო განათლება — სამედიცინო ტექნიკუმის ან საფერშლო სკოლის მიერ მიცემული დიპლომი ან მოწმობა; სამედიცინო სკოლის მიერ 1916 წლამდე მიცემული ბებია-ქალის წოდების დიპლომი ან მოწმობა დების საგანგებთან არსებული დათა სკოლის 1915 წლამდე დამთავრების მოწმობა; დებისა და სამედი-



ნო კურსების დამთავრების მოწმობა—იმ პირობით, რომ ამასთან ერთად დაგენილ იქნას შვიდწლედის დამთავრების მოწმობა;

ვ) საშუალო საფარმაცვეტო განათლების მქონე ფარმაცევტისათვის—აფთეკარის თანაშემწის მოწმობა, საფარმაცვეტო სკოლის ან საფარმაცვეტო ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა, სპეციალური საფარმაცვეტო კურსების დამთავრების მოწმობა;

ზ) სანიტარისათვის—სპეციალური კურსების (სწავლების ვადით არა ნაკლებ 6 თვისა) დამთავრების მოწმობა ან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის 1935 წლის პროგრამით ტექნიკუმის გამოცდის ჩაბარების მოწმობა;

თ) უცხოეთის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული სამედიცინო მომუშავისათვის—ამ სასწავლებლის დიპლომი და მოწმობა, რომ მას ჩაბარებული აქვს გამოცდა სსრ კავშირის სათანადო სამედიცინო სასწავლებელში, ან და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ნებადართული აქვს აწარმოოს საქართველოს სსრ-ში სამედიცინო მუშაობა.

8. სამედიცინო მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება შრომის სია ან წინანდელი სამსახურის აღდგენის მოწმობა.

სამედიცინო მომუშავის სტაჟში, რაც გამოიანგარიშება სამუშაო ხელფასის რაოდენობის განსაზღვრისთვის, ჩაითვლება მთელი დრო მისი მუშაობისა სათანადო კვალიფიკაციის მიხედვით (ექიმში, სამედიცინო და სხვა მისთ), მუშაობის შეწყვეტის დროის გამოკლებით. ექიმისა, ფარმაცევტისა და კბილის ექიმის მუშაობა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და ჯანმრთელობის განყოფილების აპარატში სპეციალობის მიხედვით ჩაითვლება საექიმო მუშაობის სტაჟში.

მაგალითები: ა) დამ გაათავა სამედიცინო ტექნიკუმი და დაიწყო მუშაობა 1925 წელს; მუშაობდა შეუწყვეტლივ 1935 წლამდე, როგორც და; სტაჟი ჩაეთვლება 10 წლად;

ბ) დამ გაათავა სამედიცინო ტექნიკუმი 1925 წელს, მუშაობდა, როგორც და, 1925 წლიდან 1927 წლის ბოლომდე; 1928 წლიდან 1930 წლამდე არ მუშაობდა ან მუშაობდა არა თავის სპეციალობაზე; 1930 წლიდან გადავიდა ისევ დის სამუშაოზე; სტაჟი ჩაეთვლება 7 წლად (3 წელიწადი მუშაობის შეწყვეტამდე და 4 წელიწადი მუშაობის განახლების შემდეგ);

ტ) სანიტარი-ქალი მუშაობდა 5 წელიწადი; ამის შემდეგ დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი ან დათა კურსები და მუშაობდა, როგორც და; დის სტაჟი ითვლება დის სახით მუშაობის დაწყებიდან სამედიცინო ტექნიკუმის ან კურსების დამთავრების შემდეგ.

4. უკეთეს სამედიცინო მომუშავის მუშაობაში შეწყვეტილი დრო ხუთ წელიწადზე მეტ ხანს გავრძელდა, მუშაობის დრო ამ შეწყვეტამდე სამედიცინო მუშაობის საერთო სტაჟში ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ სამედიცინო მომუშავე ჩაბარებს შეწყვეტის შემდეგ შესამოწმებელ გამოცდას სათანადო სამედიცინო სასწავლებელში.



5. უკეთეს განაკვეთის გადიდება მომუშავეთა განსაზღვრული ჯგუფისათვის დადგენილია სტაჟის ან საწოლთა რიცხვის მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლის მიხედვით („აქედან“ - „აქამდე“) გადიდებული განაკვეთის მიღების უფლება სამედიცინო მომუშავეს ეძლევა უკვე როდესაც მინიმალური მაჩვენებელი აქვს („აქედან“).

მაგალითები: ა) ექიმს ქალაქში 1935 წ. მარტის 1-ისთვის აქვს დოკუმენტებით დადასტურებული 5 წლის და 1 თვის სტაჟი; განაკვეთი მას განესაზღვრება 5 წელიწადზე მეტი სტაჟისათვის, ე. ი. 350 მან.;

ბ) ექიმს მარტის 1-თვის აქვს 4 წლის და 11 თვის სტაჟი; განაკვეთი მას განესაზღვრება „5 წლამდე სტაჟისათვის“, ე. ი. 300 მან.; ერთი თვის შემდეგ, როდესაც მისი სტაჟი 5 წელიწადს აღემატება, მას უნდა დაენიშნოს განაკვეთი 350 მან. რაოდენობით.

6. უკეთეს მომუშავეს სტაჟი ან კვალიფიკაცია შეიცვალა (გაუდიდა სტაჟი, მიიღო სამეცნიერო ხარისხი, დაამთავრა ტექნიკური ან კურსები), რაც მას ანიჭებს უფრო დიდი განაკვეთის მიღების უფლებას, ეს განაკვეთი მას დაენიშნება გადიდებული ჯამაგირის მიღების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მომენტიდან.

II. განსაზღვროთ თვითეული სამედიცინო მომუშავეისათვის სამუშაო ხელფასის რაოდენობა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულყოფილ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით გათვალისწინებული განაკვეთებიან კვალობაზე.

7. სამედიცინო მომუშავეთა ძირითადი ჯგუფების სამუშაო ხელფასის ახალი განაკვეთები, რაც გაცემულ უნდა იქნას 1935 წ. მარტის 1-დან, აღნიშნულია 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებაში.

სამედიცინო მომუშავეთა დანარჩენი ჯგუფები გაეთანაბრებიან განაკვეთების მხრით კანონში აღნიშნულ სთანადო ჯგუფებს ქვემომდევნო პუნქტების თანახმად:

ა) 1935 წ. მარტის 4-ის კანონით გათვალისწინებული, სამედიცინო მომუშავეთა კატეგორიების ნუსხის მე-3 პუნქტით, ქალაქებსა და მუშათა დაბებში ამბულატორიების, პოლიკლინიკების ან ამბულატორიის ტიპის დაწესებულების გამგე ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე: ექიმი, რომელიც განაგებს ერთიან დისპანსერს;

ექიმი, რომელიც განაგებს ქალთა და ბავშვთა დამოუკიდებელ კონსულტაციას, საბავშვო სამკურნალო-საპროფილაქტიკო ამბულატორიას, ვენეროლოგიურ, ტუბერკულოზისა, სამალარიო და ნევრო-ფსიქიატრულ დისპანსერს, ნარკოდისპანსერს და ჯანმრთელობის პუნქტს, როდესაც თვითეულ ჩამოთვლილ სამედიცინო დაწესებულებაში არის არა ნაკლებ 3 ექიმისა;

ამასთანავე, ის კონსულტაცია და დისპანსერი, რომელსაც ჰყავს ექიმამდე, გაეთანაბრება იმ ამბულატორიას, სადაც მიმსვლელთა რიცხვი წელიწადში 50 ათასზე მეტია—100 ათასამდე; 6-დან 9 ექიმამდე მყოლი კონსულტაცია და დისპანსერი ეთანაბრება იმ ამბულატორიას, სადაც მიმსვლელთა რიცხვი წელიწადში 100 ათასზე მეტია—200 ათასამდე, და 10 და მეტი ექიმის მყოლი კონსულტაცია გაეთანაბრება იმ ამბულატორიას, სადაც მომსვლელთა რიცხვი წელიწადში 200 ათასზე მეტია;

300-ზე მეტი საწოლის მქონე კლინიკის, საავადმყოფოს და სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის მოადგილე; ამასთანავე მისი განაკვეთი გაეთანაბრება იმ ექიმის განაკვეთს, რომელიც განაგებს ამბულატორიას, სადაც მიმსვლელთა რიცხვი წელიწადში 100 ათასზე მეტია—200 ათასამდე.

უკეთეს გამგედ იმ საამბულატორიო დაწესებულებებისა ქალაქად (მუშათა დაბაში), სადაც მიმსვლელთა რიცხვი წელიწადში 50 ათასამდეა, არის 10 წლისაზე მეტი სტაჟის მქონე ექიმი, მას განაკვეთი დაენიშნება ამბულატორიის იმ ექიმის განაკვეთის თანახმად, რომელსაც 10 წლისაზე მეტი სტაჟი აქვს, ე. ი. 400 მან. (ნუსხის მე-6 პუნქტი).

ბ) ნუსხის მე-4 პუნქტით, სასოფლო ამბულატორიის გამგე ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე:

ექიმი, რომელიც განაგებს სოფლად მდებარე დამოუკიდებელ ვენეროლოგიურ, ტუბერკულოზისა, სამალარიო და ტრაქომატოზულ პუნქტს, აგრეთვე დედობისა და ჩვილობის დაცვის დამოუკიდებელ კონსულტაციას და ჯანმრთელობის პუნქტს.

გ) ნუსხის მე-5 პუნქტით, ქალაქებში (ქუშათა დაბებში) საავადმყოფოს ან პოლიკლინიკის განყოფილებისა და ლაბორატორიის გამგე ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე:

ექიმი, რომელიც განაგებს კლინიკური საავადმყოფოს და სანატორიუმის განყოფილებას;

ექიმი, რომელიც განაგებს კლინიკაში და დისპანსერში განყოფილებას, სადაც არა ნაკლებ, ვიდრე 8 ექიმი, ხოლო ქირურგიულში—არა ნაკლებ 5 ექიმისა, გამგის თანხართვით;

ექიმი, რომელიც განაგებს ერთიანი პოლიკლინიკის შედგენილობაში შემავალ დისპანსერს;

ექიმი, რომელიც განაგებს დამოუკიდებელ ლაბორატორიას და საავადმყოფოსთან და პოლიკლინიკასთან არსებულ ლაბორატორიას, უკეთეს ექიმთა რიცხვი ამ ლაბორატორიაში 2-ზე არა ნაკლებია, გამგის თანხართვით;

კლინიკისა და საავადმყოფოს პათოლოგიურ-ანოტომიური განყოფილების გამგე;

რენტგენისა და ფიზიკო-თერაპიული განყოფილების გამგე, როდესაც ექიმთა რიცხვი 7-ზე არა ნაკლებია, გამგის თანხართვით;

ექიმი, რომელიც განაგებს ტროპიკულ და პასტერის სადგურს;



შენიშვნა. საავადმყოფოს ან პოლიკლინიკის განყოფილების განკვეთვით ექიმისათვის განაკვეთის დადგენის დროს განყოფილებად უნდა იგულისხმებოდეს მარტოდენ ის განყოფილება, რომელიც მოწყობილია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის 1935 წ. აპრილის 19-ის თარიღისა და 13 №-ის დადგენილების შესაბამისად.

დ) ნუსხის მე-6 პუნქტით, საავადმყოფოს, ამბულატორიის და სხვა სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულების ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულების ექიმი-ლაბორანტი.

ე) ნუსხის მე-7 პუნქტით, ფსიქიატრული საავადმყოფოს მთავარი ექიმი-სათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე ფსიქიატრული კოლონიისა და ფსიქო-ნევროლოგიური სანატორიუმის მთავარი ექიმი.

ვ) ნუსხის მე-8 პუნქტით, სანატორიუმის მთავარი ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება ექიმი, რომელიც განაგებს ღამის და დღის სანატორიუმს; ექიმი, რომელიც განაგებს ჩვილთა სახლის და ნორჩი ასაკის ბავშვთა სანატორიუმს.

ე) ნუსხის მე-10 პუნქტით, სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორ-ექიმისა, სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის რწმუნებულ ექიმისა და რკინის გზის სასანიტარო უბნის უფროს ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება:

ქალაქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი და რაიონების მქონე დიდ ქალაქში—სარაიონო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი;

ექიმი, რომელიც განაგებს სადებინფექციო სადგურს—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული, სიის თანახმად;

საქალაქო, ხოლო რაიონების მქონე დიდ ქალაქებში აგრეთვე სარაიონო ეპიდემიოლოგი, და წყლის ბასეინის უფროსი ეპიდემიოლოგი;

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი-ექიმი.

თ) ნუსხის მე-11 პუნქტით, სარაიონო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორისა, სასანიტარო და სასკოლო-სასანიტარო ექიმისათვის და ბაქტერიოლოგ-ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე ექიმი-ეპიდემიოლოგი და მალარიან ადგილას მუდმივ მომუშავე მალარიოლოგი; აღნიშნული სამედიცინო მომუშავენი იღებენ ექიმ-ბაქტერიოლოგისათვის დადგენილ სამუშაო ხელფასის განაკვეთს და მათ აქვთ გადამდებ სენტა საავადმყოფოს და განყოფილების ექიმებისათვის გათვალისწინებული 15-პროცენტისი წანამატი და სასტაჟო შეღავათები.

ი) ნუსხის მე-12 პუნქტით, კბილის სამკურნალო სკოლადამთავრებული კბილის ექიმისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე დანტისტი, რომელსაც აქვს სპეციალობაში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 20 წლისა, და ნორმალური საფერწლო სკოლადამთავრებულთან ტექნიკუმის სრულ კურსდამთავრებული ფერწალი; რომელიც სპეციალიზებულია კბილის ექიმის

სახით ჯანმრთელობის ორგანოს წლიურ კურსებზე. კბილის სამკურნალო-დამთავრებული კბილის ექიმის უმაღლესი განაკვეთი (300 მან. მეტი—350 მანეთამდე) დაწესებულია იმ კბილის ექიმისათვის, რომელსაც აქვს საწარმოო სტაჟი არა ნაკლებ 20 წლისა და რომელმაც, ამასთანავე, გაათავა სრულყოფის სპეციალური კურსები.

კ) ნუსხის მე-15 პუნქტით, სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე და თანაც დამოუკიდებელი სამედიცინო პუნქტის გამგე ფერშლისა და ფერშალ-მეანე-ქალისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე:

სამკურნალო-სამედიცინო პუნქტის გამგის მონაცვლე ფერშალი და ჯანმრთელობის პუნქტის გამგე ფერშალი;

დამოუკიდებელი სამედიცინო პუნქტის მეანე-ფერშალი-ქალი;

დეზოსადგურის გამგე.

ლ) ნუსხის მე-16 პუნქტით, სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ფერშლისა და მეანე-ფერშალი-ქალისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე:

ფერშალი და მეანე-ფერშალი-ქალი, რომელიც მუშაობს საავადმყოფო და საამბულატორო დაწესებულებაში შინ დახმარების გასაწევად და სასწრაფო დახმარებაზე;

სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულებაში მომუშავე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ინსტიტუტის სამი კურსის ყველა საგნის ჩასათვლელი გამოცდა;

საასეულო ფერშალი, რომელსაც დამთავრებული აქვს 1918 წლამდე სპეციალური საფერშლო კურსები სწავლების ხანგრძლივობით არა ნაკლებ $1\frac{1}{2}$ წლისა, უკეთეს მას აქვს სტაჟი არა ნაკლებ 15 წლისა.

მ) ნუსხის მე-17 პუნქტით, უფროსი საოპერაციო დისთვის და კლინიკის უფროსი დისთვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე უფროსი საოპერაციო და, რომელიც განაგებს საქალაქო საავადმყოფოს ან საავადმყოფოს განყოფილების საოპერაციოს, და კლინიკისა და საქალაქო სამშობიარო სახლის უფროსი და.

ნ) ნუსხის მე-18 პუნქტით, სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე უფროსი დისა საავადმყოფოს განყოფილებაში, კბილის ექიმისა და კბილის ტექნიკოსისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება:

უფროსი სამედიცინო და, რომელიც ერთია გამოყოფილი განყოფილებისათვის დების მთელი ჯგუფიდან;

კბილის ექიმი, რომელსაც დამთავრებული აქვს სამედიცინო ტექნიკუმი, და კბილის ტექნიკოსი;

საოპერაციო და, რომელიც არ არის უფროსი საოპერაციო და და კლინიკის უფროსი და, რენტგენო-ტექნიკოსი და რენტგენო-ლაბორანტი, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური კურსები.

ო) ნუსხის მე-19 პუნქტით, სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო დისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება მეანე-ქალი, რომელსაც დამთავრებული აქვს მეანე-ქალის წლინახევრის კურსები და რომელიც განაგებს სამეანო პონქტს, უკეთუ, ამასთანავე, მას აქვს საერთო განათლება შვიდწლოდზე არა ნაკლები.

პ) ნუსხის მე-20 პუნქტით, სრული საშუალო სამედიცინო განათლების არამქონე სამედიცინო დისა, მეანე-ქალისა, ყვავილის ამცრელისა და დეზინფექტორისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება ის სხვადასხვა მოკლევადიანი კურსებდამთავრებული ლაბორანტი, პრეპარატორი, მასაჟისტი-ქალი, ქიმიზატორი და ბიონიფიკატორი (მაღარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა შტატებში).

ჟ) ნუსხის 21 პუნქტით, სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე სასანიტარო ფერზლისა (სასანიტარო ექიმის თანაშემწე), რომელიც განაგებს სადეზინფექციო პუნქტს, რაზმს ან სანგამპარებელს, სადეზინფექციო ინსტრუქტორისა და ლაბორანტისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მაღარიოლოგის თანაშემწე, ინსტრუქტორ-ბიონიფიკატორი (მაღარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა შტატში) და დედობისა და ჩვილობის დაცვის ინსტრუქტორი.

რ) ნუსხის 25 პუნქტით, საავადმყოფოებისა, სამშობიარო სახლებისა და სანატორიუმების სანიტარის და სანიტარ-ქალისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე ბაგათა და ჩვილთა სახლების სანიტარი და სანიტარი-ქალი.

ს) ნუსხის 27 პუნქტით, ტალახ-სამკურნალოების სანიტარისა და სანიტარ-ქალისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, ტარიფდება აგრეთვე ის სანიტარი და სანიტარ-ქალი, რომელიც მომსახურებას უწევს გოგირდისა და გოგირდ-წყალბადის აბაზანებს, მორგს, საპროზექტორს და სასწრაფო დახმარების სადგურს, აგრეთვე მაღარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა სანიტარი და დამნავთებელი.

შ. იმ ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის, რომელნიც არ ეწევიან უშუალოდ სამკურნალო მუშაობას სამკურნალო დაწესებულებაში (სავადმყოფო, ამბულატორია, სანატორიუმი, დისპანსერი) და მუშაობენ თავიანთ სპეციალობაზე სხვა დაწესებულებაში (საბავშვო ბაგა, დასვენების სახლი, საფიზკულტურო ბაქანი და სხვა მისთ.) ან ჯანმრთელობის ორგანოების სამმართველო აპარატში, სამუშაო ხელფასი განისაზღვრება: ექიმებისათვის—10 პროცენტით ნაკლები 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებაში მოთავსებული, სამედიცინო მომუშავეთა ნუსხის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაო ხელფასზე; სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის—10 პროცენტით ნაკლები ზემოაღნიშნული ნუსხის მე-19 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაო ხელფასზე, ხოლო სრული საშუალო სა-

მედიცინო განათლების არ მქონე საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის 10 პროცენტით ნაკლები ნუსხის მე-20 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაო ხელფასზე.

ამას გარდა, აღნიშნული სამედიცინო მომუშავეებისათვის, როგორც ექიმების, ისე საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის, რომელნიც მკურნალობას უშუალოდ არ ეწევიან, სტაჟის ხანგრძლივობა, რაც საჭიროა გადიდებული განაკვეთის მისაღებად, განისაზღვრება, 5 წლის ნაცვლად, 8 წლით და, 10 წლის ნაცვლად—15 წლით.

უმცროსი სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც მუშაობს არასამკურნალო დაწესებულებებში, გადიდებული განაკვეთის მისაღებად საჭირო სტაჟად დაწესებულ იქნას, ნაცვლად სამი წლისა, რაც გათვალისწინებულია 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით უშუალო სამკურნალო სამუშაოზე მოსაქმე პირთათვის, ხუთი წელიწადი ყველა სამი ჯგუფისათვის.

9. ნება დაერთვას საავადმყოფოების მთავარ ექიმებს, დაწესებული სპეციალური ფონდების ფარგლებში, გაადიდონ განსაკუთრებულ შემთხვევაში 10—20 პროცენტით სამედიცინო მომუშავეთა ნუსხის 17, 19, 20, 25, 26 და 27 პუნქტების მიხედვით დადგენილი განაკვეთები 5 წლისაზე არა ნაკლები სტაჟის მქონე სამედიცინო დებისა და სანიტარებისათვის, რომელთაც თავი იჩინეს, როგორც განსაკუთრებით კეთილსინდისიერმა და საქმის მკოდნე მომუშავეებმა.

10. სამშობიარო სახლებში საწოლთა რაოდენობის განსაზღვრის დროს ამ სახლების მომსახურე ექიმებისათვის განაკვეთების დაწესების მიზნით, ანგარიშში მიიღება, როგორც მშობიარეთა საწოლები, ისე ბავშვთა საწოლები.

11. საქალაქო სამკურნალო დაწესებულებათა მომუშავეებს, სამუშაო ხელფასის მხრით, გაეთანაბრება ფსიქიატრული საავადმყოფოების და კოლონიებისა, ლეპროზორიებისა და სანატორიუმების მთელი სამედიცინო პერსონალი, მიუხედავად ამ დაწესებულებათა სამყოფელი ადგილისა (ქალაქად თუ ქალაქ გარეთ) და აგრეთვე იმ სამედიკო-სასანიტარო დაწესებულებათა პერსონალი, რომელნიც მომსახურობას უწევენ, უმთავრესად, ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის მუშებს იმ ადგილებში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი განსაკუთრებული სიით.

12. 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით ფსიქიატრული სამკურნალო დაწესებულებებისა და გადამდებ სენთა საავადმყოფოების სამედიცინო პერსონალისათვის გათვალისწინებული 15-პროცენტისანი მომატება სამუშაო ხელფასისა ვრცელდება აგრეთვე ფსიქიატრული და საინფექციო საავადმყოფოების მთავარ ექიმებზე და მათ მოადგილეებზე.

13. ფსიქიატრული საავადმყოფოების სამედიცინო პერსონალისათვის დადგენილი მომატება სამუშაო ხელფასისა ვრცელდება ფსიქიატრული კლინიკების და კოლონიებისა, ფსიქოიზოლატორებისა, ფსიქიატრული ინსტიტუტებისა და

ფსიქიატრული სანატორიუმების (მოზრდილთა და ბავშვთათვის) ყველა სამედიცინო მომუშავეზე.

14. სამეცნიერო ხარისხად, რომლის ქონაც, 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით, იწვევს სამუშაო ხელფასის გადიდებას, იგულისხმება სამედიცინო ან საბიოლოგიო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და აღნიშნულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

15. უკეთეს სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის, 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებისამებრ, განსაზღვრულია ორი სხვადასხვა განაკვეთი ერთ თანამდებობაზე — აქედან — აქამდე* (საავადმყოფოს მთავარი ექიმისა, საამბულატორიო დაწესებულების გამგე ექიმისა, სასოფლო ამბულატორიის გამგე ექიმისა, სანატორიუმის მთავარი ექიმისათვის), სამუშაო ხელფასი განაკვეთის ფარგლებში განისაზღვრება დაწესებულების მუშაობის მოცულობის, ხასიათისა და თვისებისა და მომუშავის სტაჟის მიხედვით.

16. გადამდებ სენთა საავადმყოფოდ და განყოფილებად, რომელზედაც ვრცელდება 15-პროცენტისანი მომატება სამუშაო ხელფასის საერთო განაკვეთებისა, ითვლება:

ა) ის საავადმყოფო და ბარაკი, რომელიც მომსახურებობას უწევს მარტოდენ მწვავე გადამდები სენით დაავადებულთ: ტიფიანებს, ქუნთრუშიანებს, ხუნაგიანებს და სხვა მისთ.;

ბ) საერთო საავადმყოფოს განყოფილება, რომელიც მომსახურებობას უწევს მარტოდენ ზემოაღნიშნული გადამდები სენით დაავადებულთ;

გ) ტუბერკულოზის საავადმყოფო, საავადმყოფოს განყოფილება ტუბერკულოზიანებისათვის და ტუბერკულოზის ინსტიტუტთან არსებული სტაციონარი (ტუბერკულოზის სანატორიუმი მიეკუთვნება გადამდებ სენთა საავადმყოფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს იგი დანიშნულია ისეთ ტუბერკულოზიანთა სამკურნალოდ, რომელთაც აქვთ ღია ფორმის ტუბერკულოზი);

დ) ლეპროზორიუმი;

ე) ლუპოზორიუმი.

სამედიცინო პერსონალი, რომელიც მოსაქმეობს მწვავე გადამდები სენით დაავადებულთა გადაყვანაზე, აწარმოებს დეზინფექციას გადამდები სენით დაავადებულთა ბინაზე და მუშაობს სადეზინფექციო დანადგამებზე უშუალოდ დეზინფექციისა და დეზინსექციისათვის, გაეთანაბრება, სამუშაო ხელფასის მომატებისა და სტაჟის გამოანგარიშების მხრით, გადამდებ სენთა საავადმყოფოსა და განყოფილებაში მომუშავე პირთ.

17. კლინიკად 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებაში იგულისხმება ყველა ის სამკურნალო დაწესებულება, რომელიც მუდმივ და სისტემატურად გამოიყენება სწავლების მიზნით უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისა და ექიმთა სრულყოფის ინსტიტუტისათვის, და რომელიც საამისოდ დამტკიცებულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ, სამედიცინო ინსტიტუტის დირექტ-

ტორის და ჯანმრთელობის სათანადო სარაიონო საქალაქო განყოფილებაში გამგეების წარდგენით.

18. დასახლებული ადგილის მიკუთვნება ქალაქისა, მუშათა დაბისა ან სოფელ-ადგილისათვის მოხდება ქალაქებისა და მუშათა დაბების ოფიციალური სრული შესაბამისობით ან მთავრობის განსაკუთრებული დადგენილებით.

19. 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით განსაზღვრული მომატება სამუშაო ხელფასისა გამოიანგარიშება ძირითადი ჯამაგარის მიხედვით.

20. უკეთუ სამედიცინო მომუშავემ 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების გამოცემის მომენტისათვის მიიღო თავის თანამდებობაზე სამუშაო ხელფასის განაკვეთი, რომელიც აღემატება ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ განაკვეთს, მას ენარჩუნება ამ თანამდებობაზე ამ დაწესებულებაში მის მიერ მინაღები ჯამაგარი, პერიოდული წანამატებით ნამსახურ წელთა მიხედვით, და სხვა წანამატები, რის უფლებაც მას ჰქონდა 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების გამოცემამდე.

21. გამოცხვარი პურისა, ფქვილისა და ბურღულის საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით დადგენილი წანამატი (1935 წ. იანვრისა) ენარჩუნება და ეძლევა სამედიცინო მომუშავეს 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით განსაზღვრული განაკვეთის ზედმეტად.

22. შეთავსებული სამუშაოს სასყიდელი ექიმებს და საშუალო სამედიცინო პერსონალს უნდა მიეცეთ „შეთავსების მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 11-ის დადგენილების სრული შესაბამისობით (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-19 №-ი, მუხ. 110), შეთავსებულ თანამდებობაზე ფაქტიური მუშაობის საათებისათვის, ამისდამიუხედავად, თუ სად ხდება შეთავსება, ძირითადი სამუშაოს ადგილას, თუ სხვა დაწესებულებაში.

შემთავსებისათვის საათობითი სასყიდელი გამოიანგარიშება თვიური განაკვეთის გაყოფით არსებული წესების თანახმად ამ თანამდებობისათვის დადგენილი საათების თვიურ რაოდენობაზე.

მაგალითი. 6 წლის სტაჟიანი ექიმი მუშაობს საავადმყოფოში განყოფილების გამგედ; მისი განაკვეთია 450 მან. თვეში; იგი მუშაობს შეთავსებით პოლიკლინიკაში 2 საათს დღეში; შეთავსებული თანამდებობის განაკვეთი სრული სამუშაო დღისათვის უდრის 350 მან.; საამბულატორიო ექიმის სამუშაო საათების რიცხვი თვეში, როცა ხუთდღიური კვირაა, შეადგენს 125 საათს (25 დღე ხუთ-ხუთი საათი დღეში); საათობითი სასყიდელი ექიმისათვის შეადგენს 350 მან.: 125 საათზე = 2 მან. და 80 კაპ., ხოლო თვეში 140 მან. (2 მან. და 80 კაპ. X 2 საათზე X 25 დღეზე).

1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებაში აღნიშნული განაკვეთები არ ვრცელდება საადმინისტრაციო-სამეურნეო, საანგარიშო-საკანცელარიო, არა სამედიცინო უმცროს მომსახურე პერსონალზე (მრეცხავი, სამხარეულოს მომუშავე, მეეზოვე,

მეცეცხლური, მეჯინიბე და სხვა მისთ.) და აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის მომუშავეებზე (ზეინკალი, მონტიორი, დურგალი და სხვ. მისთ.).

III. სამუშაო ხელფასის განაკვეთები უნდა განსაზღვრონ თვით სამედიკო-სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ჯანმრთელობის განყოფილებათა ხელმძღვანელებით.

23. სამედიცინო მომუშავეთა დოკუმენტებს სტაჟისა და განათლების შესახებ ამოწმებს და თვითეული სამედიცინო მომუშავეს განაკვეთს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებისა და ამა ინსტრუქციის შესაბამისად, აწესებს პირადად თვითეული სამედიკო-სასანიტარო დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს სამუშაოზე ესა თუ ის მომუშავე.

24. თვით სამედიკო-სასანიტარო დაწესებულების ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის განაკვეთს, 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებისა და ამა ინსტრუქციის შესაბამისად, აწესებს უშუალოდ გამგე ჯანმრთელობის სათანადო განყოფილებისა, რომლის გამგებლობაშიაც ესა თუ ის დაწესებულებაა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი მამალაძე.



ფახი 20 კაპ.

გამომცემელი	საქ. სსრ ს. კ. ს-ობ	1935 წ. № 43.	პ/მ. რედაქტორი მ. გამრეკელი
	საქმ. მმართველობა		
ქალაქის ფორმატი	62X94 სანტ.;	1 ბეჭდვ. ფურც.;	1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას	23/VII;	ხელმოწერილია დასაბეჭდად	21/IX; ტირაჟი 2000.
მთავლ. რწმ. №	ა-3913.	საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა.	შეგვ. № 1229

შ ე ს წ მ რ ნ ბ ა

ამ ნომერში:

88.	სტრიქ.	დაბეჭდილია	აქონდა იქონ.
398	3 კვ.	1935 წ....	23. 1935 წ....
399	6	23	24.
	13	24	25.